კვირა, 15 იანვარი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 3

1917

შინაარსი: ვალ. შალიკაშვილი — სალამო; გ. ლომთათიძე — ... ჯა; გურული ბიჭი — სამკიო ხელლოში; ეშმაკი — მ... ჩარი; ბნედა — ხარჩი კატა; პოდზიპენტა — შ...რად...; გოგია — საახალწლო წერილი; დია — სურათი; ხ. ვარდოშვილი — დავითის ჯორი; როკოკო — სიზმარი; ი. გოდგოთელი — საახალწლო კუპლეტები და ხონი;

კარიკატურები: ერიქონის საყვირი; გაცრუებული იმედი; რა საჭიროა ზავი?..

ერიქონის საყვირი



კადეტები. ნეტავ რატომ არ ინგრევა? ჩანს, „ისტორი არ მეორდება“-ო რომ ტყვიან მართალი ყოფილა.

სალამო

(14 იანვრისთვის დაწერილი)

ოკრუჟნი სუდში გახლდით დაბარებული,—სხვასთან საჩივარი მქონდა მამულის თაობაზე... შევკაზმე ჩემი ჯორი, გამოვკონე ცხვირსახოცში პოშლინის ფული, ცოტა სახარჯოც მივუმატე ყოველ შემთხვევისათვის და წაველი ქუთეისს... ვიფიქრე—ამაღამ ჩავალ, ჩემს ადუკატს ვნახავ, ნაცნობ ნათესავებს მოვიკითხავ და ხვალ დილით ჩემს საქმეს შეუდგები მეთქი. ჩაველი, ჯორი დუქანში მივაბარე და გაველი ბულვარში.

— ოო. თავადო ქაიხოსრო, რა კარგ დროს ჩამოხვედით!.. ამაღამ მშვენიერ დროს გაგატარებინებ... დღეს საღამოზე უნდა წაგიყვანო! —მომესალმა ჩემი ადუკატი.

მე საქმეზე დაუწყე ლაპარაკი—არ შეგჭამოს ჭირმა—ყურიც არ მათხოვა.

— საქმე ხვალ იყოს, ეხლა-კი საღამოზე წამოდი.—გამიყარა ხელი და მივყავარ.

ამხნის კაცი ვარ და ბევრ საღამოს მოვსწრებივარ... მინახავს საღამო ზამთრის, ზაფხულის; შემოდგომის, გაზაფხულის. იმისთანა საღამოებიც ბევრი მახსოვს, სოფელში რომ მშიერი მგლეი ჩამოვარდება, ეცემა საქონელს, ყელს გამოღადრავს, გაძღება სისხლით და წავა, მოგშორდება... მარა, ამისთანა საღამოს-კი არ მოვსწრებივარ!.. აქანა, ბატონო, სულ სხვა ჯიშის მგლები ყოფილან... ერთი კი არა,—ბევრია! არც ერთად გეცემიან, რომ მოგკლან და მოგარჩინონ, რაც სისხლი გაქვს ერთბაშათ ამოგწოვონ... არა! მოდიან დრო გამოშვებით, თითოთითო! არც შემოგიბღვერს, რომ კიცმა იარაღი მოიმზადო და თავი დეიფარო..., ერთი წინიდან მოვა, გაგიცინებს, გკრავს შაშარს და გამოგადენს ცოტა სისხლს, მეორე-უკან გკრავს, მესამე-გვერდში და ასე ნელ-ნელა გწოვენ, სანამდი მთლად არ დეიფუკები... სულიან-გულიანად რომ გეიფცქვნები ლეღვივით,—ვითომ გგონია ვინმე მადლობას გეტყვის თუ? აბა!. ერთს ამოგკრავენ მაგარ პანღურს, მარა უნდა ეცადო და გეზი ეილო ღია კარებისკენ... ისე გავარდები ქუჩაში როგორც ბურთი!.

ჰოდა შევედით ერთ დიდ სახლში... დღესავითაა განათებული... მორთული—მოკაზმული—ვიფიქრე—სამოთხეში ვარ-მეთქი. ჩამოგვართვეს პალტო, ნაბადი. ჩემმა ადუკატმა გამიყარა ხელი, მივიდა ერთ სტოლთან, გადაუგდო ხუთ მანათიანი, რაცხა ნაწეკვაი ქაღალდი მისცეს, არც ხურდა, არც მურდა... ისიც მეორემ გამოგლიჯა, გახია, გადაყარა... ევედით მაღლა. . მიმიყვანა ერთ დარბაისელ ქალთან და უთხრა: „კნეინავ, გაიცანით! ეს არის ჩემი მეგობარი კაცი, თავადი ქაიხოსრო... ეს-ეს არის სოფლიდან ჩამოვიდა და პატივი ეცით; არ მოაწყინოთ!.. ჩამატია ხელში ამ დიდებულ ქალს და მიდის.

— კაცო, რომ მირბიხარ, გამაგებიე სადა ვარ?!.. ქორწილში ვარ თუ დღეობაში-მეთქი? ჰო, ჰო!.. ქორწილში ხარ, ქორწილში-ო მომაძახა და ქე გაძვრა საცხა. დავჯექით მე და ეს კნეინა, ერთმანეთი მოვიკითხეთ, მოსავლის ამბავი ვკითხე... პატარა ხანს იჯდა, მერე ადგა და ისიც ქე წავიდა. ავდექი და გავერიე ხალხში, —მეფე დედოფალს ვეძებ, მინდა გავეცნა, მივულოცო, თვარა ასე მოზვერივით მივიდე სუფრაზე და ვახშმათ დავჯდე —სირცხვილია... ასე ქე რო დავდივარ ჩემთვის და მევიდა ერთი ბარიშნა პირდაპირ ჯიქურ და კაი მაისის ვარდი ქე დამიბნია საქილეზე... მიამა! მადლობა გადოუხადე და ხელი ჩამოვართვი.

— ფულიო?!

ვეე!.. ეს რაცხა არ მეჭაშნიკა, მარა რაღას ვიზამდი; ამევიღე და კაი ათ შაურიანი მივეცი.

— ცოტააო მითხრა და რაცხა უგემურად ჩეიცინა... იმე, არ მიამა ახალგაზდა ქალის ასეთი მოძალება, მარა, ვიფიქრე, ალბად საწყალს ძალიან უჭირს, თვარა ამდენ ხალხში მარგალიტივით გოგო ყვავილებით ვაჭრობას რავა იკადრებს მეთქი, ამოვიღე და მეორე ათშაურიანი ვაჩუქე. მადლობაც არ მითხრა, ეიბზუა ცხვირი.

— ბლაღოდარიტელნია—სამი მანეთი ღირსო!.. მომახალა და გატრიალდა. ამდროს ვილაცამ იყვირა:

— არ გოუშვა, ქაიხოსრო! ვიფიქრე—ვინცხა ყაზილარმა ჩხუბი ქნა და მირბის-მეთქი—მივტრიალდი—უნდა დავიჭირო... მოვტრიალდი—ერთი ლამაზი ქალიშვილი დამდგომია წინ და კოლოფით კამფეტებს მაწვდის. ამოვიღე ერთი და მადლობა გადოუხადე.

— ლიო?!.

იმე, ეს რა პალაჟენიაა? თითონ მოდიან, ბა-

ტივს მცემენ და მერე ფულს მთხოვენ!.. ქორწილში შესაწევნი ერთხელ ვიცი მე! მეტი რა გზა მქონდა, მარა ვიფიქრე კიდო არ შევრცხვე და რამდენი მოგართვა-მეთქი, ვკითხე.

— ბლოდოდარიტელნია... ხუთი მანეთიო... ერთი შევცფი! კამფენტი და ხუთი მანეთი!! არსად ქორწილში ეს არ მინახავს! ამევიღე და მივეცი.

ის კი გევის ტუმრე, მარა ვინცხამ კიდო დეიძახა:

— ვერ წახვალ, ქაიხოსრო! შეიხედე — ვინცხა ქალმა წერილი გადმომცა.

გავხსენი — წევიკითხე — „მოწყენილი ბრძანდები... გინიშნავ სვიდალიეს... მოდი"

კაი დაგემართოს, ვიფიქრე...მეც ქე მშია და ალბათ ვახშამი გვიან იქნება... ცოტას წევიჭამ-მეთქი .. უკაცრავად, მარა საით უნდა წევიდე-მეთქი.

— ჟგერ იმ ზალაშიაო .. წევედი.

— ფულიო?

— რის ფული-მეთქი?

— ფოშტალიონს ფულიო!

ამოვიღე და ორ შაურს ვაძლევ.

— ეს ცოტაა!.. ბლაღადარიტელნი მანათი ღირსო... მთლად დევიკარგე კაცი!.. მასპინძელი ზაკუსკაზე მპატიჟობს, ამას მანათი რატომ უნდა მივსცე?! მარა, ჯანაბას აგენის თავი, მ ვცემ, ვახშამს ვჭამ, წავალ და დავიძინებ, თვარა პოშლინის ფული კი არა, აგენი ჯორის დასახსნელ მანათს აღარ შემარჩენენ-მეთქი, მივეცი და გევექანე!.. ვერ წახვალ, ქაიხოსრო! მომაძახა ვინცხამ, მარა ჰაა, შენც არ მომიკვდე! დავაყარე თოხარიკი და ბურთი რომ გინახავს — შევარდი ზალაში, მივუჯექი სუფრას და მოვატანიე ვახშამი: ერთი ბოთლი ყეფიანის ღვინო დავაყოლე! ვიფიქრე, ამდენი ფული დამახარჯიეს, ერთს მაინც კარგად გამოვიბრუნებები მეთქი, დოუძახე მეორე ბოთლი — დავლიე! კარგად რომ გამოვისკვინჩე, ავდექი და მივდივარ.

— ფულიო? მომაძახა ვინცხამ, მევიხედე — კუდმოჭრილ სერთუკში გამოწყობილი ყმაწვილი დამდგომია წინ. იმე, ახლა-კი თლათ დევიკარგე კაცი!.

— კაცო, ქორწილში ვარ, თუ გასტინცაში — ყოლიფერში რომ ფულს მახდევინებთ? შესაწევნი ბარე სამჯერ გადევიხადე და ეხლა გადასახურავს ხომ აღარ მთხოვთ-მეთქი?!

— ბატონო, აქანა სოფელი კი არაა!.. უფულოთ არაფერი არ შეიძლებაო!

— რამდენი გერგება-მეთქი?

— ბლაღადარიტელნია — 15 მანეთიო.

15 მანეთიო!! ერთი ვითამ თქვა, მარა რაღა დროის ჩემი ჩხუბი და აყალმაყალია!.. ამოვიღე და მივეცი. გევექანე, ახლა უნდა ვნახო ჩემი ადუკატი და ვკითხო-სად მომიყვანა, რომ კუდის ძირამდი გამატყავოს კაცი.. შევედი ზალაში და —

— ვერ წახვალ, ქაიხოსრო!.. მოვტრიალდი — ვინცხაა უნდა გავჭრა შუაზე — იმე, იმისთანა ქალი გამომექიმა წინ, რომე მთვარესავით ანათებს! ეს ჩემი ვაჟკაცობა ქე გაქრა საცხა!

— ვერ წახვალ, ქაიხოსრო! სირინოზის ხმით მითხრა, გამიყარა მკლავი და წამიყვანა, მივედით ერთ სტოლთან. გარეშემო უსხედან ღენერალები, პოლკონიკები, ქალები, ბარიშნები და ლიმონათს სვამენ.

— მოართვით ქაიხოსროს შამფანცკი! დამისხეს შუშხუნა ლიმონათი. ევიღე, ვადღინძელე მეფე-დედოფალი და ერთბაშათ გადოუსვი... გადოუსვიო!.. ი ძირ ამოსაგდები დაგორდა მუცელში ბურთივით, ამევიდა, ამევიდა, მომაწვა ყელში და ბუჰო!.. ქე არ დეიძახა! იმე, დევიწვი სირცხვილით, გევიწურე ოფლად... აღარც მადლობა მითქვამს, აღარც ხმა ამომიღია — გამოვტრიალდი...

— ქაიხოსრო, ფულიო!.

რავა ამოვიღებ ხმას!

— რამდენი ბლაღადარიტელნი მოგართვა-მეთქი?

— ერთი თუმანიო!

იმე, რა უბედურებაა! ეს რუსის ბლაღადარიტელნი ხან მანათი — ღირს, ხან ხუთი, ხან ათი, ხან ხუთმეტი!.. ამევიღე და მივეცი... კაცშალე ჩემი ცხვირსახოცი, მინდა დევითვალო ფული, რამდენი დამრჩა, - იმისთანა შენს მტერს, მე სანახავი ვნახე — სად მოიძევა ხვინწკი! ერთი-კი ვიტკლიცე შუბლზე ხელი და როგორც გინახავს კვახი, დავგორდი კიბეზე. რომ მევიხურე ჩაბადი და ქუდს ხელი მოვკიდე და ვინცხამ დეიძახა:

— ბიჭო, არ გოუშვა, მოიცადოსო!..

არ გოუშვაო! აი, თქე უსინდისებო! კუდის რიკამდე ტყავი გამაძვრეთ და ახლაც აღარ მიშვებთ! აბა, დამიდექით, ვინც ბიჭი ხართ-მეთქი!

— ბატონო, რაზედ ცხარობთ? თქვენ არ მოგახსენებენ!.. იზვოშჩიკზე მიბრძანეს—არ გოუშვაო!..

— ვიცი, შვილოსან, თქვენი ეშმაკობა! აბა, ჰაა, ვინც ვაუკაცი ხარ, გამიჩერდი-მეთქი, ვიძვრე ხანჯალი, ვეცი კარებს და ში ქუჩაში გავადინე ბრეგა!

ახლა, ასე დასტა-დასტა რომ მეწყოს ბლაღარიტელნი, ფეხები დამტყდეს, თუ ოდესმე მე ფეხი შევდგა!.

ვალ. შალიკაშვილი.

ჯაჯა

(ხალხური თქმულება იმის შესახებ, თუ რისთვის არ შეუძლია ჯაჯას ზაფხულში წყლის დალევა)

„მუშას საჰმელი,
არა-მუშას—აფერი!“
ხალხური.

ერთხელ თურმე, წინა დროში, საუკუნეთ მრავალთ წინა,
ჩვენს ქვეყანას უჩვეულო გვალვის წელი მოევლინა.
გაშრა მიწის ზედა-პირი, წყარო წვეთიც არსად სწვეთავს
და ცხოველი წყურვილისგან ლამის იმედს წარიკვეცავს.
ერთ დღეს შეკრბა ფრინველთ ჯიში. მოიმარჯვეს მათ კლანჭები,
რომ იპოვნონ სადმე წყარო, ან ამოჰქნან თათით ჭები.
დაეხვივნენ განურჩევლათ, უმანკო, თუ მტაცებელი
და გაჩაღდა ტყისა პირათ მუშაობა მწყობრი, ცხელი.
სთხრიან. ჰქექენ, მიწას ჰყრიან, ისმის მღერა სანეტარო,
საცა არის გამოჩნდება, სასიამო ცივი წყარო.

ამდროს, ხეზე შემომჯდარი, იქვე ჯაჯა დაინახეს
დამცინავი ღიმის შუქი გადაჰკროდა იმის სახეს.
გადმოსძახა:—აბა, ძმანო, ნუ დაზოგავთ ძალებსაო,
მე კი, ემაგ შავს მიწაში ვერ დავისვრი ბრჭყალებსაო.
ჩვეულებათ არ მაქვს შრომა, თავი რათ შევიწყინოვო,
თუ ამოვა, ვინ დამიშლის დავჯდე და მოვილხინოვო.

ბევრი ხანიც არ გასულა, რომ გამოჩნდა წყარო ცივი
და გამოჰკრთა მის კამკამში საოცნებო მზისა სხივი.
ჯაჯა დაბლა ჩამოეშვა, მიაშურა წყაროს წყალსა,
არ მოელის მუქთა ხორა ღვთისგან სასჯელ-სამართალსა,
მაგრამ როცა მოიმარჯვა მან ნისკარტი ნერწყვ გამშრალი
ნახა, სისხლად ქცეულიყო მოკამკამე წყაროს წყალი.
და მას შემდეგ, როს დადგება ზაფხულისა ცხელი დღენი
ჯაჯას მუდამ თვალწინ უდგას ეგ სასტიკი განაჩენი:
წყურვილისგან განამწარებს ეჩვენება სისხლათ წყალი
და დასტირის თავის ხვედრსა გულსაკლავათ ის საწყალი.

გიორგი ლომთათიძე.

სამკითხველოში

როდესაც „ცნობილი“ ექიმი, მათე ბახტაძე, სამკითხველოში შევიდა, აშკარათ იგრძნო აჩქარებული გულის ცემა. შეხედა მოსამსახურე ქალს... არაფერი! მიიხედ-მოიხედა ირგვლივ... არაფერი!

— ნეტავ რა უნდა იყოს მიზეზი! შიშით განავლო გულში ბ-ნმა ექიმმა. — ახლა სიკვდილი დიახაც არ მინდა. ასი, ორასი კაცი ძლივს მიცნობს მთელს საქართველოში და იმათგანაც ნახევარზე მეტი ჩემი მძრახველია. მოდი და მოკვდი ასეთ პირობებში. კაი დაკრძალვა კი მეღირსება სწორეთ!

— რაღაც მძიმე ჰაერია დღეს! მიმართა მან სამკითხველოში მოსამსახურე ქალს.

— რა მოგახსენოთ, თქვენ უკეთ მოგხსენდებათ.

— მე აშკარათა ვგრძნობ აჩქარებულ გულისცემაზე. პულსი თითქმის ასზე მეტი მაქვს.

— ყველაფერი ბევრი მოგცეთ ღმერთმა!..

— ღმერთს კი ახსენებ, ქალო, მაგრამ ხატი გვაქვს სამკითხველოში? მოულოდნელათ იკითხა ექიმმა და კედელს თვალები მიმოავლო.—ღმერთო დიდებულო!.. შეჰყვირა მან და უგრძნობლათ იატაკზე დაეცა.

რამოდენიმე ბოთლი ძმარი დარჩა საჭირო, რომ გულშეწუხებული ექიმი გონზე*) მოეყვანათ.

— ის... ის... ის... ჩამოიღეთ... რაუნდა... ვისია... მომაშორეთ... ერთობ საეჭვო წყობილებით ლუღლუღებდა ექიმი და თითს კედლისკენ იშვერდა.

საიდუმლო გამოირკვა. კედელზე ნოე ჟორდანიას სურათი აღმოჩნდა. მათე ბახტაძე ნელ ნელა მოსულიერდა და ძველ დონეზე დადგა. ის უკვე მთელს წინადადებას ამბობდა ერთად, თუმცა ჩვეულებრივ უაზროსა და უმზგავსოს.

— ვისია ქალო ეგ სურათი?

— ჩვენი გახლავთ, ბატონო!

— ვისია მეთქი კი არ გეკითხები... მე გიჩივი ვისია.

— აკი მოგახსენეთ, სამკითხველოს ეკუთნის, მოწაფეებმა შემოსწირეს.

— ფუი შენს მიხვედრას! გაგონილა კაცმა კითხვა ვერ გაიგოს!.. მე გელაპარაკები ვისი სურათია მაი ნახატი მეთქი, გესმის ვისია, ვისი.

— აი წიგნი ინებეთ, ბატონო, შიგ გვიწერია რომ ჩვენია.

ექიმი მოთმინებიდან გამოვიდა და კითხვა პირდაპირ დააყენა:

— ნოე ჟორდანიას სურათი ვისი ბრძანებით დაჰკიდეთ აქ, სადაც მე, მათე ბახტაძე, ვიარები? ვინ მოგცათ თქვენ მაგის ნება?

— განა მაგასაც ნება უნდა?

— ნება უნდა აბა რა უნდა! აბა შენი აზრით ის ყოფილა მათე ბახტაძე და მე ნოე ჟორდანია!

— არა, ბატონო, ღმერთმა დაიფაროს.

— ჰოდა, აბა რავა არ იცი ამხელა ქალმა, რომ იქ სადაც მე ვიარები ნოე ჟორდანია ვერ გეიარს. მოიტა სკამი.

ექიმმა მიიდგა სკამი, ჩამოიღო კედლიდან სურათი და შეინახა.

—

— ძირს, ძირს, არ გესმის დედაკაცო, ტერმომეტრი, პულსი, აბა ჩქარა მოიტათ სკამი...

ასე ჰყვიროდა უკვე ცნობილი მათე ბახტაძე ნაშუაღამევის ორ საათზე თავისს საწოლ ოთახში და ბალიშებს აქეთ იქით ისროდა. ოჯახში ერთი აურ ზაური შეიქნა. მოსამსახურეები ჯერ დაფრთხენ, მაგრამ ბოლოს მოიკრიფეს გამბედაობა და ფანჯრის ჭუჭრუტანებს მოადგნენ. ექიმი კი ნამდვილს ხელჩართულ ბრძოლაში იყო გართული. პირველ ყოვლისა ის მოქარგულ წითელ მუთაქას ეცა. დაუყონებლივ ქვეშ ამოიდო, კისერში ხელი წაუჭირა და სამიოდ წუთის შემდეგ კიდევაც წააჩრჩო.

— აი, ასე გეკადრება! მაშ შენ ყოფილხარ მათე ბახტაძე და მე კი ნოე ჟორდანია! აქაც, ჩემს ოჯახშიაც შემოიპარე?! ის ფრთხილათ დაიხარა. მუთაქას ყური დაადო, შემდეგ პულსი გაუსინჯა და როცა სრულიად დარწმუნდა, ნელა წარმოსთქვა:

— მოვკალი...

მოსამსახურენი კანკალით შესცქეროდენ ამ სანახაობას და ვერ გაერკვიათ რაში იყო საქმე. ექიმი უცებ წამოიჭრა, გაშმაგებით მივარდა სარკიან პატარა სტოლს, ერთის მოქნევით იატაკზე დაანარცხა, ზევიდან ფეხი დაადგა, მარცხენა ხელი წელზე შემოიდგა და შესძახა:

*) ჰაჰ!

ეშმაკი.

— მოკვდეს მტერი!... მაშ შენ ყოფილხარ მათე ბახტაძე და მე კი ფილიპე მახარაძე!

სულ რამოდენიმე წუთში გაანადგურა იშტაზე ზოსულმა მათე ბახტაძემ საწოლი ოთახის მოწყობილობა და ის იყო ზალაში გასვლას ეპირებოდა, რომ უეცრად თვალი მოჰკრა კუთხეში მიდგმულ მარმარილოს პირსაბანს მცირე ხნით შეჩერდა, თითქო ეშინიაო, შეყოყმანდა, მაგრამ მალე ჩაიქნია ხელები, საზარლათ დასჟყივლა, დაღუნა თავი და შიგ მხრებში ეცა მტერს. მოლალატე შეკრთა, შეინძრა და საშიშარის ხრიალით ძირს დაეცა. არე მარე სისხლის. მოირწყო.

— მაშ რა გეგონა!—შესძახა სარდალმა,— როგორ ფიქრობდი? იქნებ გეგონა, რომ შენ იყავი მათე ბახტაძე და მე კი ევგენი გეგეჭკორი? ვერ მოგართვეს!

—

მეორე დღეს მთელი ხონი ძათე ბახტაძეზე ლაპარაკობდა. მესამე დღეს უკვე კულაშსა, სამტრედიასა და დიდ ჯიხაიშშიაც გადავიდა მისი ძლიერების ხმა. რაც დღე მოდიოდა მით უფრო და უფრო ცნობილი ხდებოდა ხონელი ექიმი მათე ბახტაძე. ახლა წარმომიდგენია თუ რა იქნება, როცა ამ წერილს წაიკითხავენ. ამის შემდეგ მთელ საქართველოს ეცოდინება, რომ დაბა ხონში სცხოვრობს ექიმი, რომელსაც ჰქვია მათე და გვარად ბახტაძეა. ეს განა ცოტას ნიშნავს?

„თუ კი კაცი ცხოველია,
საქმეს იზამს საგმიროსა,
ზოგჯერ ჭკუიანზე უფრო
სისულელემ გვასახელოს“—ო

ტყვილათ როდი უთქვამს ჩვენი პოეზიის ლმერთს, სოლომონ ზურგიელიძეს. მან ჩინებულათ იცოდა ქართველი კაცის ბუნება.

გუგულა ბიბი.

დედანთან შესწორებული მიერ **მორიელისა.**



მეტიჩარა

ყოველთვის სხვას ვუმტყუნებდი:

სირცხვილია, ყმაწვილო, ისეთ საქმეში ნუ ჩაეჩხირები, რაიც შენს ძალღონეს არ შესწევს, თორემ ქეყეანა სასაცილოთ აგიგდებს მეთქი, და თურმე ნუ იტყვით, მე თითონ მჭირვებია ორი და სამი ასეთი დამრიგებელი.

ჯერაც ვერ გამომირკვევია, თუ რამ იმოქმედა ასე ჩემზე და რამ მაფიქრებია ის, რასაც სხვა დროს გულში არ გავიტარებდი. ან კი რომელი არქეოლოგი მე ვარ, პროფესორი მარრი თვალითაც არ მინახავს და გ. გვაზავას მხოლოდ მისი პოეტური ნაწარმოებით ვიცნობ. ბ-ნს ექვთიმე თაყაიშვილს ვიცნობ შორი ახლოს, მისი ლაპარაკისთვისაც მრავალჯერ მიყურებია, მაგრამ არა მგონია მას მოეხდინოს ჩემზე ასეთი დიდი შთაბეჭდილება...

სიმართლე თუ გინდათ ამ ჩემს მეტიჩრობას უფრო წარსულის მოგონებებთან ჰქონდა კავშირი. არსებითად მე ყოველთვის მქონდა სიძველეთა მოგროვების სურვილი და ვფიქრობ, ჩემში რაიმე გარეშე მიზეზის გავლენით კვლავ გაიღვიძა ძველმა მიდრეკილებამ.

გადავსწყვიტე არქეოლოგათ გახთომა! ეს ჩემი გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე იყო, რომ ცივ ქარსა და ფურთქლში დავტოვე თფილი ოთახი და ქუჩაში გამოვედი.

მე კარგად ვიცი, რომ თფილისში ძველათ ქართველები ცხოვრობდენ და ნუ თუ მათი ესდენ ხანგრძლივი არსებობა რაიმე თვალსაჩინო კვალს არ დასტოვებდა? მართალია შემოსეულმა მტრებმა ბევრჯერ მიანგრა-მოანგრიეს მისი ქუჩები. აგერ, გასულ ზაფხულშიაც, განიცადა მან განსაცდელი თფილისელ ამბოხკებისაგან, მაგრამ ქალაქი მაინც ცოცხალი დარჩა.

ჩავუყევი სწორსა და მშვენიერ მიხაილის ქუჩას. გავზომე მთელი მისი სიგრძე სიგანე, მაგრამ ვერსად, თუნდაც ერთ სიტყვას, ქართული მხედრულით ნაწერს ვერ შევხვდი. ის იყო კრილოვის ქუჩით დაბლა უნდა ჩამეხვია, როცა მოულოდნელათ თვალი მოვკარ თეთრ ფიცარზე შავი მხედრული ანბანით მშვენიერ წარწერას: **„საკბილო სამკურნალო“.**

გული გამინათლდა! მესიამოვნა, რომ ამდენი ხნის შრომამ უქმათ არ ჩამიარა და აშკარა კვალს მივაგენ ქართველთა არსებობისას. მე მეუცხოვა მხოლოდ სიტყვა „საკბილო“. მართლაც რას ნიშნავს აღნიშნული სიტყვა ძნელი გასაგებია, მით უმეტეს „სამკურნალოსთან“ დაკავშირებული. ბევრი ვიფიქრე, ბევრი თავი ვიტეხე, მაგრამ ვერაფერი ახსნა ვიპოვე. აქვე დამებადა ეჭვი ჩემს არქეოლოგობაში, მაგრამ მაინც განვაგრძე და გადაველ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ვერის ხიდის რაიონში.

შუა აღმართზე, იქ სადაც ამ ექვსიოდ წლის წინათ ტრამვაის ვაგონი დაიმსხვრა, აგებულია მოზრდილი შენობა. მართალია სახლი არც თუ ძლიერ ძველი უნდა იყოს, მაგრამ მის კედელზე ჯერ კიდევ ნათლათ შენახულა ძველი ქართული წარწერა „ძაძშირი ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა“.

აშკარაა აქ საქმე რაღაც ძველ საზოგადოებრივ დაწესებულებასთან გვაქვს, მაგრამ კვლავ თავსატეხი გამიხდა სიტყვა „კაკშირი“. ვერც ერთ ქართულ ლექსიკონებში ჩვენ მისი განმარტება ვერ ვპოვეთ და ამან უფრო განავითარა ეჭვი ჩემს არქეოლოგიურ მომზადებაში. ცხადია ამ სიტყვის განმარტება ნამდვილი არქეოლოგისათვის არავითარ გასაჭირს არ წარმოადგენს.

მე კი მწარე ფიქრებით დატვირთული გავუდექ გზას. გადავიარე გოლოვინის პროსპექტი, სასახლის ქუჩა (სადაც ქართული კლუბის წინ თეთრ ფანარზე ამოვიკითხე: „სინემატოგრაფი“) ერევნის მოედანი და მუხრანის ქუჩით გავუდექ ავლაბრისაკენ.

ჯერ კიდევ არ გავსულიყავ ხიდზე, რომ ჩემს თვალს გადაეშალა საუცხოვო სანახაობა: ხიდის პირდაპირ, კლდის ძირათ, აგებულია აგურის დიდი სახლი, რომელზედაც აშკარათ ჰკიდია უზარმაზარი მარმარილოს ფიცარი ნამდვილი ძველებური წარწერით.

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მუდამი საწოლებით და გარედგან

მოსიარულებით.

ა ვ ა თ მ ყ ო ფ ე ნ ს

დ ე ნ უ ლ ო ბ ე ნ

ბ ა ძ ო ც დ ი ლ ი

ე ყ ი ძ ე ნ ი.

ციცაბო კლდე ციციანთ აღმართისა, რომელიც ამ ისტორიულ ნაშთს თავს დაჭყურებს, მრავალ ამბავთა მომსწრეა. ახლაც აუარებელი ხალხი ადის და ჩამოდის მის მკერდზე, მაგრამ მას მაინც შეუნარჩუნებია ეს ძველის ძველი ქართული წარწერა. მე ღრმათ ჩამაფიქრა მისმა თითეულმა სიტყვამ. ჩემის აზრით წარწერა ერთობ შორეულ წარსულს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან სიტყვა „დენულოგენ“ და აგრეთვე „ეყიძენი“ არც ერთ ქართულ ლექსიკონებში არ აღმოჩნდენ.

სამი კვირა მოვუნდი სხვა და სხვა ძველ ხელნაწერების ჩხრეკას, რომ როგორმე მიმეგნო ამ წარწერის გასაღებისათვის, მაგრამ ამაოდ. ცხადია ყოველგვარ დარგის მეცნიერს უდიდესი მოთმინება სჭირდება და არქეოლოგს მით უმეტეს, მაგრამ გუშინ წინ საბოლოოთ გადავსწყვიტე, რომ მე ამ გზით სახელს ვერ მოვიხვეჭ და ჩემი არქეოლოგობა ეს მხოლოდ მეტიჩრობაა, ის მეტიჩრობა, რომელიც მე სხვის ცხოვრებაში ყოველთვის მაბრაზებდა.

სანუგეშოთ მხოლოდ ის მრჩება, რომ მე, ადრე იყო თუ გვიან, შევიგნე ჩემი მეტიჩრობა და უარვყავ შეუფერებელი განზრახვა.

მაგრამ ყველა ჩემისთანა არქეოლოგები განა ასე იქცევიან?

ეშმაკი.

ხარგი კაცა

(ძღვნათ ახალ მხედართ:
პაოლო იაშვილს, ზ. აფრინდაშვილს
და რომელი მათთანა).

და გოგმანობს ფარგა ბრგვნილი,
ნელსაცხებელს ეკვრის ჟინზე...
ცხარე წითელ ფერებს აკმევს
საკმეველათ მკვირვალ მინზე.
მოდი, ეჰა, ეჰა, ეჰა!
ჩამებუდრე მაგრათ, მკიდროთ...
ოჰო, ჰოჰო! ასე, ასე!
ლაღი გრძნობა გავამდიდროთ.
კი, კი! კი, კი! — კვნესის — კი, კი!
და დამდება და თენდება,
ლანდი ლანდობს ნალბანდისა
ფალავანდი არ ნელდება...

გაცრუებული

(უცხოთაგან



ბიძიკო მწერს,—რომ ის
სიკვდილის პირზეა...
(ოჰ, ნეტამც ასრულდეს
ამ გასაჭირზეა!...)
ჩემს მევალეებსა
გაუწყდათ იმედი...
არ ვარგა, ბიძასთან
დღეს თუ არ მივედი.

ორშაბათი. საბრალო ბიძია!
ვერ იღებს მტკივან წელს...
ცხადია, კვირამდი
ის ველარ მიაწევს.



სამშაბათი. დღესაც არ ემჩნევა
მას მომჯობინება!..
ბულიონს ვაწოდებ...
ჭამა არ ინება.



ოთხშაბათი. საწყალი! ვერ ანძრევს
ველარც ფეხს, ველარც ხელს...
დღეს უნდა ვაცნობო
ბიუროს დამმარხველს.

იმედები

(გადმოღებული)

ხუთშაბათი. ეჰეე! ეგ რასა გავს?
ბიძია წვენს მისდგა!..
ნუ თუ ეს წეღკავი
უძლური გამოდგა?

პარასკევი. ბიძია კეთილობს!..
სჩანს საქმე რთულდება...
მაშ ტკბილი იმედი
არ ამისრულდება?

შაბათი. შეხედეთ, სვავივით
ნთქავს სანოვაგესა!
როგორის სიამით
ილოკავს ბაგესა!!..

კვირა. ქეიფიც დაიწყო!
ვაჰ ჩემსა წერასა...
შემიჭამს ქონებას,
მივიღებ ვერრასა.
გარეშეთ რომ ჰკითხო,
ვინ უწყს რას ჩმახვენ
მას კაცურ კაცადათ
სთვლიან და ჰსახავენ.

მაგაზინის თეთრ კრიშაზე
მოკრიჟანგობს ქოლგით წყვილი.
იწვის, იწვის უბალბანდოთ
ეხრაკება წვიტვზე წვივი.
რაგინდარა დარუბანდი
მიბნედილი ბნედი ბინდი.
მიკვრეტს კატა, ხარბი კატა.
ეხარბება: უნდა! უნდა!

გრ. რობაძიძე*).

*) ეს ლექსი „ხარბი კატა“ დიდმა გრ. რობაჭიძემ „ცისფერ ყანწებს“ მიაწოდა. პაოლო იაშვილს ბარბაცის დროს „Медведь“-ის კარებთან გავარდნია და თუ მე არა მეტალი ფეხებით გა-თელებოდა. დედანი ჩემთან ინახება, თუმცა ჩემი ხელია. ემადლობ ქაჯეთს, რომ მე მარგუნა წილათ მისი ხსნა.

ალავშთები მარადის თქვენი **ბნედა.**

ᲔᲐᲠᲐᲞᲘᲐ

(**საახალწლო, მილოცვის მაგიერი**)

აცივდა... ასუსხდა... გამეფდა ზამთარი.
გაჰყინა მაღლა მთა, გაჰყინა ძირს ბარი...
ცა თოვლს სცრის, ფანტლები ნელ-ნელა მოცვივა,
ქარი კი სისინებს... წყალს ყინავს და ცივა...
ალარ გვაქვს სათბობი — შეშა და ნახშირი...
„კუდებში“ ბრძოლითა გვემტვრევა თავ-პირი.
კუპსაც კი აკლდება საკვები ხშირათა.
პური ხომ (მოთეთრო,) იშოვოთ ძვირათა.
ეჰ, ცუდი დრო დადგა საშიში, საზარი,
ყოველ მხრით მოისმის გოდება და ზარი!..
მაგრამ დღეს, რადგანაც ახალი წელია,
(და ის კი ყოველთვის იმედის მგვრელია.)
ამიტომ, დღეს მაინც გავექცეთ სევდასა
და იმით ახალ წელს ნუ მოვგვრით ბნედასა.
მოვიხმოთ ოცნება, მოვიხმოთ ფრთამალი,
(დაკრილ გულს წამითა მოვცხოთ მით წამალი.)
გავფრინდეთ შორს მხარეს, სად გაზაფხულია,
სად ველნი ყვავილთა ძნით მოქარგულია...
ბავშვური ხტუნვითა გავქროლდეთ მდელოზე,
სიმღერაც შევძახოთ მხიარულ კილოზე.
იქ მარდათ მოვსძებნოთ ჩვენ ერთი მცენარე...
უცხოთა ჯიშისა, ნაზი და მგზნებარე...
...ოჰ, რა რიგ ლამაზი, და მშვენიერია!
და მასთან შეხედეთ რა გრძნობიერია!
მის სხეულს ოდნავად ხელს ახლებთ თუ არა,
თითქოს მას მთელ ტანში ჟრჟოლამ დაუარა.
მსწრაფულ ძირს ხრის ტოტებსა შიშით და კანკალით
პატარა ფოთლების ურიცხვი ამალით.
სულ სამი მარცვალით გადაიხატება,
იმისი სახელი, იმისი ხატება...
მაგრამ ჩვენ გვჭირია მარცვალი მესამე.
(და იგი წაიღე, ძმავ, შენი კვნესა მე.)

—

აწ დროა, მგონია, გარს მიმოვიხედოთ
წამოვდგეთ ფეხზე და მას მდელოს დავხედოთ...
ეგ რა ცხოველია, ეგ ნორჩი პატარა,
რაც უმანკოების სიმბოლოთ გამხდარა?
ოჰ რა პატარაა, რა ჩვილი, რა ნაზი
თოვლივით სპეტაკი, პუნტულა, ლამაზი.
მის სახელს, ორში ერთს, უმოკლეს დანათვალს
ბოლოდან სიფრთხილით მოვტაცებთ ერთ მარცვალს.
ოუ იგი შარადას მალე სულს შთაუდგამს —
მშვიდობას ამ ქვეყნათ მტკიცე ტახტს დაუდგამს.

—

გათავდა, გათავდა, დასრულდა შარადა!
(ოჰ, როგორ გაგრძელდა ჩვენ გასამწარადა!)
დაბოლოს ხელთ შეგვრჩა ჩვენ სიტყვა პატარა
სიმშვიდით მოსილი, სპეტაკი ანკარა:
ცის მანანასავით მას ელის ყოველი
ქვეყანა გვემული და ცრემლთა მთოველი.
და ოდეს გვესმება მის ფრთათა შრიალი —
შეწყდება თოფის ხმა, ზარბაზნის გრიალი
შეწყდება ტირილი, შეწყდება გოდება
და შვების მომფენი მზე ამობრწყინდება!..

პოლიპენტა.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

(**კარაპეტას მიწერილი შვილთან ბრძოლის ველზე**)

ბაროვ, კაკული! რასა იქ და როგორ ხარ? პოზდრავლიუ ნოვი გოდ ი ნოვი სჩასტია! დაი ბოდ კაეფი გოდ ნოვი გოდ. რაზუმეიცა ჩვენს ამბავს იკითხავ და, სლავა ბოლუ, ეიგომ პომალენკი. ეხ, კაკულ, რაღა ეიგომ შვილო, ისე აირია ეს ჩვენა ქალაქი, როგორც დომხალი. პასლედნი სამი კაპი-

კის რამე რომ გინდოდეს, სამი სუტკა ოჩერედში უნდა იდგე და ისიც ეშმაკმა იცის გერგება რამე თუ არა! ამისთანა სიცოცხლეს რა უთხრა რომ კაცს ორი გირვანქა პური გინდოდეს და საბას ოთხმოც და ჩვიდმეტ კაცს ამოუდგე ზატილოკში! არა, პრავილნი ოჩერედი რომ იყოს, კიდენ ჯანაბას ყველაფერი, მაგრამ ვინ დაგიდევს! ეს კნიაზიაო, ეს ტერტერაო, ეს ლამაზი ბარიშნაო, ყველას პატივსა სცემენ და მე რაც უნდა ადრე მივიდე, მაინც ყველას კისრები მე უნდა დავათვარიელო. კიდენ კარგი თუ სიკვდილის ოჩერედიც ასე პასლედნი შამხვდა, ჯანაბას, კაცი კიდენ მოითმენს. კაცს ფული გქონდეს და ვერაფერს შოულობდე! ოხ, კაკული რომ იცოდე თუ როგორი აწეწილია ჩვენი ქალაქი ტირილი მოგივა უფლის მადლმა.

დავდივარ და ვერას ვშოვობ,
დაიკეტა ჩემი ბედი,
სადაც მიველ ყველგან დამხვდა
ეს ვერანა „ოჩერედი“!

—

შეითანმა, დედაშენმა,
ჰინაზე გამგზავნა იმ დღეს,
„ოჩერედის“ გოგოებმა
დამასიეს, იმდენი მცხეს.

—

მიველ სახლში, ვერ ვიშოვე:
ვერც ჰინა, ვერც უმარული,
დედაშენმა ფეხქვეშ მიდო,
დამამტვრია ვით მარილი!

—

მაგრამ ყველას უძლებ, რა ვქნა,
დროებაა დაწყევლილი:
რიგი გინდა რომ იყიდო
კოპეის ძაფი ერთი წყვილი!

—

ვაჭრები ხომ სულ გაგიჟდენ
გაუდიდდათ ოჩინ მადა,
ქელეხი აქვთ, მაგრამ სავსემ
ბეზსოვესტნიმ ბიტ ნე ნადა!

—

მილიონებს იგებს, კაცო,
ქეციანი მაღაზია,
ვის უნახავს, გაგონილა,
ორ მანეთათ ბამბაზია?!!

—

ოხ, ვაინის მამგონო, ცეცხლი ჩავარდეს შენ ჯიგარში. ყველაფერი ეს შენი ბრალია, მაგრამ მახლას...

ბიკო, ერთი შენ მაინც მაიწერე მაინდან და გამაგებინე საქმის პრავილნი აბსტაიატელსტვა. შენ მანდა ხარ ყველაფერი გეცოდინება, მაგრამ შენც ამ ბოლო დროს ეშმაკის ცხენზე შაჯექი და არაფერს იწერები, რა ამბავია ნეტა?!

ბიკო, გაგონილა ამდენ ხანს წერილის მოუწერლობა! შე კაი ადამიანო, ქორწილში ხომ არა ხარ, რომ არხეინათ ვიყო. კაცი პერედნი პოზიციაზე მეგულები, ტყვიები ხორხოშელასავით გეყრება თავზე და ვინ იცის როდის ამოგძვრება სული! მე აქ ტვინის პარალიჩი მომდის და შენ კი ერთ შერილს არ იწერები, რომ მანუგეშო კაცი! არა, მე ყურუმსაღო, მე ხომ მამინაცვალი არა ვარ შენი რომ გული არ შამტკიოდეს შენზე. შენ რომ დაიბადე შახარობელს იმოტოლა სამ კაპიკიანი ვაჩუქე, რომ ქვაბათ გაკეთებულიყო შიგ ერთი ჭაკი თხა არხეინათ მიხარშებოდა. მერე სროლას არ იტყვი! რომ ბამოვიტანე ორ ლულიანი ცენტრალიკის თოფი და გავაგდე, ისეთნაირათ დაიგრიალა და ისეთნაირათ დამეტაკა გულზე ის ვერანა კონდახი, რომ სულ ელენთა ამამაგდებინა. ეჰ, რამდენი სიმწარე მინახავს შენს გაჩენაზე და გარდაზე, მაგრამ ჭალალი იყოს, შვილო, ყველაფერი შენზე, ოღონდ ერთი წერილი მოიწერე და შენი ამბავი გაგვაგებინე.

ბიკო, დედაშენი მაინც შაიბრალე ის საწყალი ისა. მთელი ღამე არა სძინავს. გაბამს ჭიანურივით და გათენებამდის წუწუნებს, შენი გამოისობით მეც მებუზღუნება. რაც შენ წახველი იმას ჩემთვის ერთი სლადკი სიტყვა აღარ უთქამს. ბიკო შვილო, რა გინდა ჩემგან, რაზე მიკარგავ სიამოვნებას?! ჰაიგიდი დროებავ! წინათ მე რომ სახლში მოვიდოდი, ჩემი სოფიო სიხარულით სულ ყირამალა დგებოდა. რომ გაშლიდა ხელებს და დილიჯანის დიშლის ცხენივით დამატაკებდა მკერდსა, უნდა გეყურებინა თუ როგორ მიხუტებდა გულში. ეხლა კი შენი გამოისობით ისე გადაირია და შაიშალა რომ მკერდში ჩაკვრა კი არა პასლედნი თვალი რომ უყო, სულ ამბარცუმას ჯორივითა ჰყრის ტლინკებს. რა გინდა, შვილო, რისთვის მიშხამავ უცეცხლო თაფლივით ტკბილ სიცოცხლეს! ნეუყელი ერთ

რამეს ვერ მოსწერამ, რომ ცოტათი მაინც დაშოშმინდეს! მე შენ გითხრა წერა არ აცი აი! მთელი მენახშირეების პისმავადიტელი შენ იყავი ქალაქში და მთელი შასავალ-გასავლის ანგარიშებს შენ აკეთებდი. რა ვიცი, კაცო, აქ მთელი ქალაქის თვალი იყავი და მანდ რა მოგვიდა არ ვიცი! არა, შე ყურუმსაღო, პასლედნი ჩოტკი რომ იციან, ისინი პრაპორჩიკობასა შოულობენ და ჩინ-მენდლებით იქედებიან და შენ რა ქითაბი გაგიწყრა?!. ჩხუბში არ არი, კაცო, საქმე?! აიღე რაღა და დააფარე სიფათში გერმანცკი პოლკონიკი იქნება, ან ღერანალი, რომ შენმა უფროსმა დაგინახოს და წინ წაგწიოს. რა ვიცი აქ რომ გაჯავრდებოდი მთელ ჯამ-ჭურჭელს ლუკმა-ლუკმა ამსხვრეიდი ხოლმე! გახსოვს ერთხელ ძალიან რომ გაჯავრდი და ლამპა გატეხე? მერე გარეთ გავარდი და დეიდაშენს წიწილა მოუკალი, იქ მეზობელ გოგოებს დაირა დაუფხრიწე. რა ვიცი, რამდენი ვაჟკაცობა შენ გიქნია სად ჩამოვთვალო! განა შენისთანა უნარის პატრონი რადაი სალდათათ უნდა ბერდებოდეს!!! არა, რა ღმერთი გაგიწყრა, რომ პასლედნი ზახრაბუსტის მენდალიც ვერ მიიღე!!!

კაცი მამკალ, შამარცხვინე,
თავი მამჭერ ამ ჯარშია,
ნუ თუ ვერსად ისახელე
ან ხმელეთ და ან ზღვაშია?!

—

ზოგი ცხენით შვრება სახელს,
ზოგს ტყვე მოჰყავს გაბაწრული,
აბა შახე მიკიჩას ბიჭს
მენდლებით აქვს სავსე გული.

—

ნეუჟელი ერთი პლენი
შენ ვერსად წამოიყვანე,
ასე უშნო, ულაზათო,
ნეტა ვის გამოემგვანე?!

—

დედაშენის შიშით კრუგომ
მეზობლები კანკალებენ,
ტერტერა და ტირაცუა
მის სულისთვის ლოცულობენ.

—

მე, ხომ იცი, ავლაბარში
ყველას დაუსიე ყბები,
კარგათ იცი ბლომათა მყავს
დასაფრენი ჰოპოპები.

—

ვისაც მივწვდი ვაყროყინე,
ყველას გავკარ ჩემი ბჭყალი,
გარადოვებს და დორნიკებს
დაუყენე ყველას თვალი.

—

შენ რა ხახა დაგიღია,
იდი ვპეროდ მალა-მალა,
ნეტაი ვის დაემგზავსე
ასე უშნო, მაჩანჩალა!

—

მიდი რაღა მაგ ლემენცებს
ერთი დაჰკა ავლაბრული,
რომ ბერლინში გაიგონონ,
შენი სილა შამოკრული.

ბოგია.

სურათი

თვალ-ტანადი, სწრაფი, ცქვიტი,
ახალ გაზრდა, (არც თუ წვიტი)
შანტანი და მუდამ ფლირტი,
ენა შეასვენოს კვნიტი
ვერ იქს სალონების გვრიტი.

—

ქონება აქვს,—არა უშავს.
შენსას, მისას, თეთრსა, თუ შავს,
მებანქოეს ჩაუქუჩავს,
იხრჩობოდე, წარბს არ ღუშავს.
შამპანიურს გადახუშავს.

—

ჩალათ უჩანს სხვისი ჭირი,
ჩემის აზრით არის ვირი...
და რომ დავუძახოთ გმირი
არც კი არის გასაკვირი.
რათ ვამღერო მისთვის სტვირი!

—

სცხოერობს, ხარობს, იბერება;
არის ბრიყვი და თვითნება.
(ნურავის გაეცინება),
სწამს რომ სულ ასე იქნება.
მოდი, დაამადლე ქება!

—

მაიმუნობს, ჰბაბავს სულთანს;
რომ შემეძლოს მივსცემ კურტანს!
უკეთესს ვინ რას მიუტანს
სულით მახინჯს არანგუტანს.
ვინ შეჰკადრებს წმიდა გუთანს?

—

ბედიც აჰკიდია კუზას
როგორც ზოვაში გემი ღუზას.
ტურფა სქესნი ჰანგს „უთხუზავს“.
იმდენს მტერი მას რას უზამს
თითონ თავს რომ წიხლებს სდრუზავს?

დია.

დავითის ჯორი

(ხალხური)

ცნობილი მეფე, დავითი
აღმაშენებლად ხმობილი,
მჭერ-მეტყველი და ჭკვიანი
ბრძოლებში გამოწრთობილი...
ეკლესიების შენებას
შეუდგა შემდეგ სოფლადა:
გელათს, მარტვილს და სუჯუნას...
სალოცათ... შესამკობლადა...
მაგრამ ბოროტი ეშმაკი
არ ასვენებდა მეფესა,
თვის ჯადო ქრობით უნგრევდა
ეკლესიების კედელსა...
ბევრი იფიქრა მეფემა
ეშმაკის დასაჭერადა,
ერთხელ მივიდა გამწყრალი
და ჩაუსაფრდა ველადა...
რა დაინახა ეშმაკი
მყის წააფარა თავს ბადე
გაძაგრა სული ბოროტი...
აუხდა ფიქრი—სიცხადე...
პირში ამოსდო ლაგამი
მაგარი, ფოლად—რკინისა,
გადაჰკრა ზურგზე მათრახი
ამოსაყრელად ჟინისა...
მაგრამ ოჰ, საკვირველებავ
ეშმაკი იქცა ჯორათა,
(ღმერთს ვფიცავ მართალი არის
და ნუ მიიღებთ ჰორადა.)
დავითსაც აგი უნდოდა
მოჰყვა ჯორისა ხედნასა,
და უმოწყალოდ საბრალოს
აზიდვინებდა ლოდ-ქვასა...
ერთხელ წაბრძანდა დავითი
მარტვილისაკენ ჩქარადა,
ასაჩქარებლად თავის ჯორს
ზურგზე შოლტს სცემდა მარადა...
რა მიაწია ერთ კლდის ძირს
ჯორს შემოაწყდა „აბჟანდი“,
დავით ჩამოხტა იმ წამსა
მსწრაფლად მოიხსნა ნაბადი...
სწვდა „აბჟანდს“ ფიცხლავ შეჰკერა
თვისი ჩაუქი ხელითა,
და ბრძანა—ცეცხლის სიტყვების
თვისთა ბაგეთგან ფრქვევითა:—
—„აშენდეს ამა ადგილს
ტაძარი დიდებულიო,
„აბჟანდ-ნაკერის“ სახელით
ცნობილი, წოდებულიო“
ასრულდა მეფის ბრძანება...
წადილი განზრახულია,
წამს ააშენეს იმ ადგილს
ტაძარი დიდებულია...
მაგრამ დროთ სწრაფმა სრბოლამა
მას შეუნგრია ბჟენია,
მაგრამ სახელი აწ თქმული
იმ ალაგს მაინც შთენ...
ერთხელ დავითმა დიაკონს
უბრძანა: „გამიგონეო
წაიყვა ჩქარა ეს ჯორი
და ტბაში შეაფონეო...
ოღონდ გახსოვდეს იცოდე
ლაგამი არ აუშვაო,
დაჰბანე, დაასუფთავე
ისმინე ჩემი სიტყვავო...
წამს ასრულა ბრძანება
ჯორი წაასხა წყალზედა,
(და ოი საკვირველებავ,
დიაკონი სწუხს ძალზედა...)
ჯორი წყალს არ სვამს ჯიუტი
არ დააკარა პირია,
ბრაზით აივსო მხლებელი
შეიქნა განაკვირია...

დაფიქრდა, ალბათ ლაგამი
წყლისა დალევას უშლისო,
და სთქვა წავაძრობ სჯობია
ეს საქმეს არ დამიშლისო...
და ჯორს ახადა ლაგამი
იქნებ დალიოს წყალიო,
მაგრამ ოჰ, ღმერთო დიდო,
რას ხედავს მისი თვალიო.
ჯორმა ისკუპა, შეუხტა
და წყლის სიღრმეში შესცურა,
გირდიქმნა კვალად ეშმაკად
და თვის ჯოჯოხეთს ესტუმრა...

ხ. ფარდოშვილი.

სიზმარი

სიზმარი ვნახე, შარშანწინ,
ჯერ არ ვარ მსგავსის მნახველი;
ბრძენთაგან გამოსაცნობი,
წინ გრძნობის გამომსახველი:—
ვითომ ცხრა ცალი კამეჩი
მსუქნები, სავსე ქონითა; (?)
(ვფიქრობ, რომ ცალი, ხუთასი
ფუთი კი იყო წონითა.)
მორეკეს ვიღაც მწყემსებმა,
მინდორზე საძოვარადა!
ბალახით ანოყივრებდენ,
გარს ეხვეოდენ ჯარადა...
მუნ ამ დროს მონადირენი,
ცხრა გამხდარ მწევარ წადლითა,
მოიჭრენ, წამოედავენ,
გზები გაუკრეს ძალითა;
დასჭამეს ცხრანი კამეჩი,
სისხლში დასვარეს, იცურეს,
ისე, რომ მონადირეებს
კუდიც არ დაუნარჩუნეს ..
მაგრამ ძაღლები მაინცკი,—
დარჩენ კვლავ ისევ ხმელები;
და აქეთ იქით დარბოდენ,
სიმშილით განახელები.
და ბოლოს ჩემთან მოიჭრენ,
საკბენათ, დასაჭმელათა,
მე კი: შევკრთი და ვიყვირე,
გამომეღვიძა ხელათა.
როცა, ავდექი საწოლით
სიზმრითა განამწარები;
„გაჩეჩილაძის“, ნაქები,
ავფურცლე კალენდარები:
მაგრამ დალახვროს გამჩენმა,
დავთარი სულ ამერია;
ამფერი სიზმრის ახსნები,
მას შიგ არ ჩაუწერია...
მივმართე ისევ ბაბუას
უთხარ თავ გადასავალი
მან პირი წყნარათ გააღო
შემომაცქერა რა თვალი
მითხრა: — ეხ შვილო არ გახსოვს,
ხიზმარი ფარაონისა?!
შვიდმა მჭლე ძროხამ, ჩაყლაპა
შვიდი მქონები ქონისა.
და იოსებმა აუხსნა:
—შვიდი წლის სარჩოს კარგსაო,
შვიდი წლის შიმშილობაი,
ერთბაშათ უზამს ყლაპსაო.
და ეს სიზმარიც მას ნიშნავს,
რომ ამ მსუქანსა წლებსაო,
სიძვირე, მოუსავლობა,
დააყრევინებს წლებსაო!..
მერწმუნა!.. ბოლოს ვიკითხე:
—ისიც მითხარი ბაბუა,
მე, რომ მომვარდენ ძაღლები,
იმითი რაღა გამჟა.
რადა სიძვირე, ბაბუა,
შენაც გაგაძრობს ტყავსაო,
და შიმშილობა სიმწარით,
დღეს დაგაყენებს შავსაო.
ეს მითხრა მაშინ,—და დღესა
სიძვირეზეა გოდება;
მეც ყოველ ნივთის ყიდვაზე,
ბაბუა მომაგონდება...

როჭოკო.



დაგვიანებული საახალწ. კუპლეტები

(ხ ო ნ ი ს თ ვ ი ს)

,,იმედს''.

ვიცი შენი არსებობა
ბევრს მახვილად გულში ხვდება, —
და ის ხალხი, რომელს უხმობ
შენსკენ მოდის, ფეხზე დგება!
და თუ უფრო ხალხის გულში
საარსებოთ გარდიქმნები
სატრფიალო, სანუგეშო,
შენ ხარ, კიდავაც შენ იქნები!..

,,კულტურა''-ს.

მაღალ კანით მოგიხაზავს
შუბლი შენი ვივესკისა;
შიგ ვერ ვპოვე სახე შენი
და ბუკი ხარ ვგონებ „სკისა“! (?)

წ. ქ. გ. ს. გამგეობას.

წარსულსა წელს ახლად აქცევ,
ძალებს უხმობ, გიპყრობს შიში;
სამკითხველო ველარ გახსენ
დაგბნევია ანგარიში!
„ნოე“-ს სურათს დაახარჯე
მთელი ძალა რაც გებადა, —
მაშინ შექმენ ბრძოლის ხაზი
თუ წინასწარ დაგებადა?!.

,,ანდრო'' ს.

საუკუნის ნახევარმა
გაიარა ვგონებ მარდათ, —
მხოლოდ „ბედი“ აღარ გწყალობს
გულს გაწვება ესლა დარდათ.
და „მერანი“ შენი ბედის
ვაგლახ ოჩნობს, არ ჭიხვინებს;
წუთი სოფლის შარა გზაზე
ისე ზანტად მიხვიხვინებს...

ხონელ ,,სამება''-ს.

ნეტავ დაბას, თქვენისთანა
თუ ამრავლა ერთი-ორათ...
რაღა გიჭირსთ, გამოდგებით
„ზვირთ“ „მეგობრის“ რედაქტორათ!..

,,მათეს''.

თანდათანობით ინგრევა
საძირკველი ძველი ფუძის,
რადგან „მისას“ ბაქარაში
ჯვრის ცხრიანთან ტუზი უზის.

,,სამკითხველოს''.

აღარ ვიცი, რა მოგიძღვნა
ვარდი, ია, თუ ზამბახი?!.
შენსკენ მოდის, მოციმციმებს
მთელი ძალა... მთელი ხალხი!..
მაგრამ რაა, როცა ჩიხში
მომწყვდეულხარ მთელი ტანით?!
გრძნობას ისევ შენში ვმარხავთ
გულს გვისერავ კაეშანით.

—

ხ ო ნ ი.

(ქუჩიშვილის მანგზე.
ძღვნად ,,კულტურა''-ს).

გრგვინავს ანდრო,
სჭექავს ვასო,
ეს ამბავი
ვის გააქვსო?!.
ვინ გაგვწერა?
სად ხართ ძმებო!
ერთად შევკრბეთ
— მეგობრებო!..
— და გორდაძე
ჩოთქით ხელში, —
დავლურს უვლის
სარეცელში...
სთვლემს სიზმრებში
გახლართული, —
ტოკავს,
როკავს,
მათეს გული!..
და გასწიეს „კულტურისკენ“
მოიქნია ანდრომ ტორი
და შესძახა, მრისხანებით:
რაჟდენ! შენ ხარ რედაქტორი!?..
თან მზვერავთა რაზმს უძღვება,
წინ მიშმაგობს როგორც მგელი,
და უკვირის რაზმს ზურგიდან:
გამოვნახოთ “გოლგოთელი“!
დადგა ჟამი ძიებისა,
აგუზგუზდა ბრძოლის ქურა;
ცეცხლის ალში ბედის ნავი
გოლგოთელმა შეაცურა...
ის წინ მიქრის, გაბედულად,
მხოლოდ ანდრო სჭექს, ზანზარებს!
და აქ ბრძოლის ქარტეხილში
„გოლგოთელი“ რეკავს ზარებს!..

ი. გოლგოთელი.

რა საჭიროა?



— ვა, ე ვილგელმს დაუჟინია ზავი მინდაო! რა დროს ზავია! ჯერ მხოლოდ 200000 მაქვს ბანკში... ერთ 300000 კიდენ მიუმატებ და ჰა, მერმე იყოს თანხმა ვიქნები!..

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1